წერილის ნომერი: **30-302617530**
თარიღი: **24/06/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოების გამო:

როგორც თქვენთვის ცნობილია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-19 მუხლის საფუძველზე, 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებით დაამტკიცა მერიასა და კონკურსში გამარჯვებულ ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს“ (შემდგომ –ინსტიტუტი) შორის 2020 წლის 19 მაისს გაფორმებული N93 ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის განაშენიანების გეგმა და მისი თანმდევი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია.

განაშენიანების გეგმის, კერძოდ განაშენიანების მართვის რეგლამენტის ტექსტურ ნაწილში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა - დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართების ჩამონათვალიდან ნორმატიული - აქტი -2-ის (1295047656) მესამე პარაგრაფის ,,განაშენიანების პარამეტრების“ მეორე პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი უნდა იყოს რომ 300 კვ.მ. ნაკლები ან ტოლი ფართობის მიწის ნაკვეთისთვის-კ1=0,4 კ3=0,5, ნაცვლად დადგენილი ჩანაწერისა რომ 250 კვ.მ. ნაკლები ან ტოლი ფართობის მიწის ნაკვეთისთვის-კ1=0,4 კ3=0,5.

აღნიშნული ხარვეზის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ წერილობით აცნობა დამგეგმარებელ კომპანიას - ა(ა)იპ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტს და თხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება. კომპანიის მიერ

მოხდა გეგმის მომზადების პროცესში ტექნიკური პრობლემის დადასტურება, მოახდინა უზუსტობის აღმოფხვრა და წარმოგვიდგინა განაშენიანების გეგმის შესწორებული ვერსია, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმატით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ალეკო კირვალიძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106[1]–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2]–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2026 წლის --- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2026 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის და ღმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში კურორტ გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის ქალაქმშენებლობითი გეგმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N2 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 26/01/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016505) შევიდეს ცვლილება და დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართების ჩამონათვალიდან ნორმატიული - აქტი-2 (129504765b) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციის დანართით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**